საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო

12

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი

1960

ჯვარის მონასტერი

სინამდვილის დამახინჯების წინააღმდეგ

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული მასალის — „აღმოჩენილია შოთა რუსთველის, პეტრე იბერის და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები“ — შესახებ

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1958 წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილია ბორის კანდელაკის წერილი „შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან“ და პროფ. სარგის კაკაბაძის წერილი „ისტორიულ პირთა სურათები იმავე მონასტრის კედლის მხატვრობიდან“. ამ წერილებს დართული აქვს რეპროდუქციები პორტრეტებიდან, რომლებიც ამოღებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნ. ინსტიტუტის A—1767 ხელნაწერი კრებულიდან, ხოლო საერთო სათაურად წამძღვარებული აქვს შემდეგი სიტყვები: „აღმოჩენილია შოთა რუსთველის, პეტრე იბერის და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები“.

თვით ფაქტი ამ სურათების ჟურნალში გამოქვეყნებისა ფართო საზოგადოების საყურადღებოდ — მისასალმებელია, მაგრამ პუბლიკაციას თან ახლავს ზოგი ისეთი რამ, რაც ყალბ წარმოდგენას ქმნის საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ:

1. სინამდვილეს არ შეეფერება სენსაციური სათაური ხსენებული სურათების ახლად „აღმოჩენის“ შესახებ. ნიკო ჩუბინაშვილის ხელნაწერი და სურათები, რომლებიც მას ერთვის, დიდი ხანია ცნობილია: მათ იცნობდა უკვე პროფ. ალ. ცაგარელი, რომელმაც გამოაქვეყნა ნ. ჩუბინაშვილის ხელნაწერი ტექსტი. ცაგარლის მასალის მიხედვით არის შესრულებული ნ. თარხნიშვილის მიერ შ. რუსთაველის ქანდაკებაც, რომლის სურათი გამოქვეყნებული აქვთ დ. კარიჭაშვილს („ვეფხისტყაოსნის“ 1920 წლის გამოცემაში) და თვით სარგ. კაკაბაძეს („ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემაში). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის (A კოლექცია) V ტომში, რომელიც 1955 წ. გამოიცა (შემდგენელი ლილი ქუთათელაძე), აღწერილია როგორც ნ. ჩუბინაშვილის

კათოლიკოს-პატრიარქი ეფესელი ჯგუფი შოთა რუსთველის პორტრეტის წინ
(გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე)

ხელნაწერი, ისე სურათებიც, კერძოდ შ. რუსთაველის სურათიც (იხ. გვ. 24ა).

ბ. კახდელაკი სარგებლობს ამ წიგნით, მას სიტყვა-სიტყვით აკეთ გადმოწყვეტილი იქიდან მთელი წინადადება იმია ძალაა, თუ სად და როდის უნდა იყოს შესრულებული ნახატები: „კრებულს თან ერთვის ჯვარის მონასტრისა კედლია ხატვრობა, შესრულებული, ალბათ, პეტერბურგში იერუსალიმიდან ჩამოტანილი ჩანახაზებისა და ნიკოლოზ იუბილეიანის აღნიშნული ნაშრომის მიხედვით", მაგრამ ამ ადგილ თავიანად ასალებს, წყაროს მოუსენებლად. ამ წყაროში კი იკითხება: „კრებულს ერთვის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობა, რაც შესრულებული უნდა იყოს პეტერბურგში ჩახახატებისა და ნ. ჩუბინაშვილის ზეთით დასახელებული აღწერის მიხედვით. თვითეულ პორტრეტს აქვს წარწერა რუსულ ენაზე".

აქვეარად, ბ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს სიტყვები შ. რუსთაველის პორტრეტის შესახებ: — „ახლა აღმოჩნდა ამ პორტრეტის ალი", „ამ პორტრეტის პირი ახლახანს ხელნაწერების გადათვალიერების დროს საბედნიეროდ მე შეხვდა" — სინამდვილეს ამახინჯებს. შეიძლება თქმულიყო მხოლოდ, რომ რუსთაველის პორტრეტის ჩანახატი ალა პირველად ქვეყნდება.

ჯ. დანაოენ ისტორიულ პირთა პორტრეტები, რომლებსაც ჟურნალი აქვეყნები, ასევე ცნობილი იყო მთელ ხელნაწერ კრებულთან ერთად. მათ შესახებ ცნობები მოთავსებულია ხელნაწერთა აღწერილობის ხსენებულ V ტომში (გვ. 24ი). ამას გარდა, ზოგი პორტრეტის ჩანახატი, შეურულებული ალ. ცაგარლის მიერ, ადრეეც იყო გამოქვეყნებული.

3. ჟურნალში დაბეჭდილი წერილების საერთო სათაური ყალბ წარმოდგენას ქმნის რუსთაველის ამ პორტრეტის ხადვილი მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ: ცნობილია, რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტერი XVII საუკუნეში თავიდან მოიხატა, ასე რომ ყველა იქაური პორტრეტი ან სულ ახლად, XVII საუკუნეში არის შესრულებული, ან დახატულია ხელმეორედ. ამგვარად, ეს გამობატულება, რომელიც რუსთაველად მიაჩნიათ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს უფრო სანდო დოკუმენტად, ვიდრე რუსთაველის სხვა ცნობილი გვიანდელი გამოსახულებანი. ამას ერთვის ისიც, რომ ნახატები, როგორც ნ. ჩუბინაშვილის ხელნაწერს აქვს დართული, ჯვრის მონასტრის ფრესკების ზუსტ პირებს კი არ წარმოადგენს, არამედ უკვე პეტერბურგშია შესრულებული ფანქრით გაკეთებული სქემატური მონახაზების მიხედვით. ამას არც ბ. კახდელაკი უარყოფს (როგორც აღვნიშნეთ, მას გადაწერილი აქვს მთელი წინადადება ამის შესახებ ხელნაწ. აღწერილობის V ტომიდან), მაგრამ იგი არ აკეთებს სათანადო დასკვნას — თუ რა მხატვრული და დოკუმენტური ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ასეთ პირებს.

გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები; პროფ. ალ. ბარამიძე, დოც. ვ. ბერიძე, პროფ. ილ. აბულაძე.

(გაზ. „კომუნისტი" 1958 წ. 12 ნოემბერი)

[1] ალ. ცაგარელმა კალკით გადაიღო მხოლოდ რამდენიმე წარწერისა და სურათის პირი და გამოაქვეყნა კიდეც, მაგრამ მათ რიცხვში შოთა რუსთველის პორტრეტი და მისი წარწერის ფაქსიმილე არ მოხვდა.

[2] იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი, ტ. V, 1955, გვ. 248.

[3] IV 8, გვ. 10.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1958 წლის 12 ნოემბრის ნომერი. გვ. 3. (ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქცია ამ წერილს ურთავს გაზ. „კომუნისტის" მითითებულ სტატიას და აგრეთვე შოთა რუსთველის იმ პორტრეტს, რომელიც ჟურნალის 1958 წლის მე-8 ნომერში დაიბეჭდა. (რედ.).

* სურათები ანალოგიური წარწერებით (მაგ., დრანდელი მთავარეპისკოპოსის გაბრიელის, არსენისა და სხვ.) ჯვარის მონასტერში სხვაც მოიპოვება.